

თავი 11

ვალუტა და საკურსო სხვაობა

თუ თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე გინევთ სხვადასხვა ვალუტასთან მუშაობა (მაგალითად, მომწოდებლებთან ანგარიშსწორებას ანარმოებთ უცხოურ ვალუტაში, გინევთ ვალუტის კონვერტაცია და სხვა) სასურველია ფლობდეთ “ორის-ბუღალტერიის” მრავალვალუტიან ვერსიას. ამ შემთხვევაში, ერთვალუტიანი ვერსიისგან განსხვავებით თქვენ არ მოგინევთ სავალუტო ოპერაციებისთვის საჭირო თანხის ხელით გამოანგარიშება, ანუ უცხოური ვალუტის ლარში გადაყვანა. აგრეთვე, ამგვარი ოპერაციებისას წარმოშობილი საკურსო სხვაობის გამოთვლა და შესაბამისი გატარებების ხელით გაკეთება. ამას ყველაფერს ავტომატურად გააკეთებს პროგრამა.

პროგრამაში სავალუტო გატარებების ან ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელია დღეების მიხედვით ვალუტების სიაში დააფიქსიროთ ვალუტის ის კურსები, რომლებიც დადგინდა ეროვნული ბანკის მიერ. თუ გარკვეული მიზეზების გამო რომელიმე საბუღალტრო ოპერაციის შესრულებისას საჭირო გახდება ვალუტის სხვა (ეროვნული ბანკისგან განსხვავებული) კურსის მითითება, მაშინ ეს უშუალოდ უნდა მოხდეს ამა თუ იმ გატარების შესრულების დროს (რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-5 თავის ქვეთავში “სავალუტო გატარება”).

განვიხილოთ, როგორ შეიძლება ვალუტასთან მუშაობა. ვალუტების სიის გამოძახება შესაძლებელია 3 გზით:


1. ძირითადი მენიუდან “ფონდები” აირჩიეთ ქვემენიუ “ვალუტა”.



2. ძირითადი მენიუს ქვევით მოთავსებულ ინსტრუმენტების პანელზე განლაგებული ლილავებიდან აირჩიეთ “ვალუტასაკურსო სხვაობა Ctrl+8”





3. კლავიატურაზე დააჭირეთ ღილაკების კომბინაციას **Ctrl+8**.
სამივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:







როგორც ხედავთ ვალუტების სიის ეკრანი შედგება ორი ბარათი-სგან: ვალუტა და საკურსო სხვაობა. პირველი ბარათი (ვალუტა) გაყოფილია ორ ნაწილად. ზედა ნაწილში ჩანს პროგრამაში არსებული ვალუტების ჩამონათვალი თავისი აბრევიატურით, დასახელებით, რაოდენობითა და კურსით პროგრამის ბაზური ვალუტის მიმართ (ჩვენს შემთხვევაში ლარის მიმართ). აქ შესაძლებელია ახალი ვალუტის დამატება, არსებულის კორექტირება, წაშლა და დაბეჭდვა. აგრეთვე, პროგრამა საშუალებას იძლევა მიიღოთ ვალუტების კურსები Excel - ის ფორმატის ფაილიდან (მათი ჩამონათვალი დალაგებული უნდა იყოს გარკვეული სტრუქტურით).

თუ კურსორით მონიშნავთ რომელიმე ვალუტას, ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება ამ ვალუტის კურსის ცვალებადობა (დინამიკა) ანალიზური პერიოდის მიხედვით.

განვიხილოთ, როგორ ხდება ახალი ვალუტის დამატება. ამისათვის, ბარათის - ვალუტა ზედა ნაწილში აირჩიეთ დამატების ღილაკი - 



ველში "აბრევიატურა" აკრიფეთ დასამატებელი ვალუტის აბრევიატურა. თუ თქვენ გაქვთ სასურველი ქვეყნის ვალუტის დროშის ფაილი ფორმატით .ico, მაშინ შეგიძლიათ აირჩიოთ იგი აბრევიატურების სიიდან. ამისათვის, უნდა დააჭიროთ ამ ველის გასწვრივ მდებარე ღილაკს - . იხილავთ ეკრანს, სადაც მონიშნეთ სასურველი ვალუტის გამოსახულება. რის შემდეგადაც შეივსება აბრევიატურის, დასახელების და დროშის ფაილის ველები. ველში "რაოდენობა" მიუთითეთ სასურველი რაოდენობა. ხოლო ველში "კურსი" ამ ვალუტის კურსი, რომელიც დადგინდა ეროვნული ბანკის მიერ მიმდინარე დღეს (ანუ იმ თარიღში, რომელიც მითითებულია ამ ველის გასწვრივ და რომელიც აიღება კომპიუტერის ტაიმერიდან, ჩვენს შემთხვევაში - 30.03.2006. ამ თარიღის შეცვლა შეგიძლია მანამ, სანამ დავინყებდით ახალი ვალუტის დამატებას. შესაბამისი თარიღის ველი მდებარეობს ვალუტის ეკრანის ზედა ნაწილში). მონაცემების შეტანის დასრულების შემდეგ დააჭირეთ "OK" - ს. ახალი დამატებული ვალუტა დაემატება სიაში ბოლო ჩანაწერად.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ვალუტის კორექტირება. ამისათვის, გამოიყენეთ ღილაკი - . თუ თქვენ არ იყენებთ პროგრამაში არსებული ვალუტებიდან რომელიმეს, შეგიძლიათ წაშალოთ იგი ღილაკით - . შეგიძლიათ დაბეჭდოთ ვალუტების სიის ჩამონათვალი ღილაკით - .


ვნახოთ, როგორ შეიძლება ვალუტების კურსების მიღება Excel - ის ფორმატის ფაილიდან. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა Excel - ის ფორმატის ფაილში მათი ჩამონათვალი დალაგებული იყოს გარკვეული სტრუქტურით. კერძოდ, პირველ სვეტში ჩამომწერივებული უნდა იყოს ვალუტის კურსის ცვლილების თარიღები შემდეგი ფორმატით: 2/1/2006, მეორეში - აბრევიატურები, მესამეში - კოეფიციენტები, მეოთხეში

- თანხები და მესუთემი - ვალუტების დასახელებები. ამასთანავე, მონაცემების ჩამონათვალი უნდა იწყებოდეს აუცილებლად მეოთხე სტრიქონიდან. ქვემოთ მოყვანილია ვალუტების კურსების ფაილის ერთი მაგალითი:


თარიღი	ვალ	კოეფიციენტი	თანხა	დასახელება
2/1/2006	USD	100	181.5	საშ დოლარი
2/2/2006	USD	100	181.69	საშ დოლარი
2/3/2006	USD	100	182.5	საშ დოლარი
2/4/2006	USD	100	182	საშ დოლარი
2/8/2006	USD	100	182.3	საშ დოლარი
2/9/2006	USD	100	182.51	საშ დოლარი

როგორც ვერანზე ხედავთ მოყვანილია მაგალითი იმისა თუ რა პრინციპით მოხდება პროგრამაში ამ ფაილში ჩამოთვლილი ვალუტების შესაბამისი კურსების გამოთვლა და მიღება ($RAT:CURS = Tanxa / Koefic$). კერძოდ, თანხის ველში მითითებული მნიშვნელობა გაიყოფა კოეფიციენტის ველში მითითებულ მნიშვნელობაზე და გამოთვლილი მნიშვნელობა დაფიქსირდება პროგრამაში შესაბამისი ვალუტის კურსის ველში.

მას შემდეგ, რაც თქვენ გეჭნებათ ზემოთ ნახსენები Excel - ის ფორმატის ფაილი, საჭიროა დააჭიროთ ლილავს "კურსების იმპორტი Excel-ის ფაილიდან" - . იხილავთ ეკრანს:



მონიშნეთ ფაილი rate's sheet2006.xls და დააჭიროთ "OK"-ს . იხილავთ ეკრანს:




მას შემდეგ, რაც დასრულდება კურსების იმპორტის პროცესი (ეს ეკრანი გაქრება), ვალუტების სიაში მონიშნეთ USD. ეკრანის ქვედა ნაწილში (ვალუტების დინამიკა) ნახავთ, რომ დაემატება ის კურსები, რაც მოყვანილი იყო ზემოთ ნახსენებ Excel - ის ფაილში.


ვალუტა	დასახელება	რაოდენობა	კურსი
GEL	ქართული ლარი	1	1.00000000
USD	ამერიკული დოლარი	1	1.82000000
DEM	გერმანული მარკა	1	0.92990000
GBP	ინგლისური ფუნტ სტერლი	1	2.98980000
EUR	რუსული რუბლი	1	0.06830000
FRF	ფრანგული ფრანკი	10	2.77270000

თარიღი	რაოდენობა	კურსი
1.01.2006	1	1.82000000
1.02.2006	1	1.81500000
2.02.2006	1	1.81690000
3.02.2006	1	1.82500000
4.02.2006	1	1.82000000
8.02.2006	1	1.82300000
9.02.2006	1	1.82510000
1.01.2007	1	1.82510000

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება სასურველ თარიღში კურსის მითითება. ვთქვათ, გვინდა დოლარის კურსის მითითება თარიღში 11.02.2006-ში - კურსი 1.83. ამის დასაფიქსირებლად კურსორით მონიშნული უნდა იყოს სასურველი ვალუტა, ჩვენს შემთხვევაში USD. შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში დააჭიროთ ლილავს "კურსის დამატება - InS" - .




ველში “თარიღი” შეგიძლიათ ხელით ავრიფოთ 11.02.2006 ან აირჩიოთ კალენდრიდან, რომელსაც გამოიძახებთ ლილავით - . ველში “კურსი” მიუთითეთ - 1.83 და დააჭირეთ “OK” - ს. ამის შემდეგ ეკრანის ქვედა ნაწილში დაემატება ახალი კურსი:



ეკრანის ქვედა ნაწილში შესაძლებელია სასურველ თარიღში ვალუტების კურსების ცვლილება ლილავით - , ნაშლა - , დაბეჭდვა - . აქვე შეგიძლიათ ნახოთ ვალუტების დინამიკა სასურველი პერიოდის მიხედვით. სტანდარტულად თავიდან დაყენებულია ის პერიოდი, რომელიც მითითებულია ანალიზურ პერიოდში -

2.01.2006 -დან 1.01.2007 -მდე . მისი ცვლილება შესაძლებელია ლილავით “კალენდარი” - .

თუ თქვენ გსურთ იხილოთ ვალუტის დინამიკის გრაფიკული სახე, დააჭირეთ ლილავს - .





ეკრანის ზედა ნაწილში მოთავსებული ლილავების საშუალებით ან ლილავით - შეგიძლიათ შეცვალოთ გრაფიკის ფორმა, განზომილება და სათაური. დაბეჭდვას შესძლებთ ლილავით - . ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ “OK”-ს. შემდეგ დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი.

მას შემდეგ, რაც მოამზადებთ ვალუტების სიას (დააფიქსირებთ მათ კურსებს იმ თარიღების მიხედვით, რომლებშიც მოხდა ესა თუ ის სავალუტო ოპერაცია), შეგიძლიათ შეასრულოთ გატარებები. განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, უცხოელი მომწოდებლისგან (შპს “HP Computers”) შევიძინეთ 1000 დოლარის ლირებულების საჭონელი, რომლის ლირებულება დავფარეთ ნაწილ-ნაწილ. კერძოდ, 4 თებერვალს გადავუხადეთ 600


დოლარი, ხოლო დარჩენილი 400 დოლარი - 11 თებერვალს. სიმარტივისთვის შევასრულოთ მხოლოდ თანხის გადახდის გატარებები და ვნახოთ როგორ უნდა მოხდეს პროგრამის საშუალებით ამ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობის გატარებების გავეთება.

ამრიგად, უნდა შევასრულოთ 2 გატარება :


დოკ. N	ღებუეფ	კრედიტ	თანხა	საფუძველი
4_02	3110 5	1220	600 USD	გადახდილია საქონლის ღირ-ბა
11_02	3110 5	1220	400 USD	გადახდილია საქონლის ღირ-ბა

გამოიხსეთ გატარებების ეკრანი ლილავით - . შემდეგ დაჭირეთ დამატების ლილავს - . იხილავთ ეკრანს, რომელშიც სადებეტო ანგარიშის მისათითებლად დაგჭირდებათ 3110 - ს გაუხსნათ ორგანიზაციის სახეობის ანგარიში - 3110 5 შპს "HP Computers" (ამ შემთხვევაში კოდით 5). შეავსეთ გატარების დამატების ეკრანი შემდეგნაირად:

როგორც ეკრანზე ხედავთ თანხის ველის გასწვრივ ვალუტის (USD) არჩევის შემდეგ განიდა ველები "კურსი" და "ეკვივალენტი". ეს ველები ავტომატურად შეივსო პროგრამის მიერ. როგორც გახსოვთ, 4 თებერვალს დოლარის კურსი დაფიქსირებული იყო 1.82. შესაბამისად, 600 დოლარის ეკვივალენტი გამოვიდა 1092 ლარი.


მომდევნო გატარების შესასრულებლად დააჭირეთ ლილავს -  და შეავსეთ ველები შემდეგნაირად:


დააჭირეთ "OK" - ს. გატარებების ეკრანში იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ გატარებებს:


როდესაც მონიშნულია "ნომინალში" -  ნომინალში, მაშინ

გატარებების ეკრანის სვეტში "ვალუტა" გამოჩნდება იმ ვალუტების აბრევიატურები, რომლებშიც შესრულებულია გატარებები.

თუ გსურთ შესრულებული გატარებების თანხები დინახოთ რომელიმე ვალუტის ექვივალენტში, მაშინ მონიშნეთ "ექვივალენტში". ნახავთ,

რომ მის გასწვრივ გაჩნდება ველი -  ეკვივალენტში.

სადაც,  - ლილავის დახმარებით უნდა აირჩიოთ სასურველი ვალუტა. რის შემდეგაც გატარებების თანხების გადაყვანა მოხდება არჩეული ვალუტის ექვივალენტში იმ კურსის მიხედვით, რა კურსიც იყო დაფიქსირებული ვალუტების სიაში კონკრეტული გატარების შესრულების თარიღში.

შენიშვნა: თუ თქვენ სავალუტო გატარების შესრულებისას დადავიქსირებთ ვალუტების სიაში არსებული კურსისგან განსხვავებულ კურსს (ანუ დააჭერთ ლილავს **“დავაფიქსიროთ კურსი”** - ) , მაშინ ეს კურსი გამოჩნდება გატარებების ეკრანის სვეტში **“კურსი”**. სხვა შემთხვევაში ეს ველი ცარიელი იქნება.

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება პროგრამამ ავტომატურად შეასრულოს ამ სავალუტო გატარებების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობის გატარებები.

საკურსო სხვაობა ნიშნავს იმას, რომ კურსის ცვალებადობის თარიღებში გამოითვლება ყველა სავალუტო ანგარიშის ნომინალის ნაშთები. ამის შემდეგ გამოიანგარიშება ამ ნომინალის შესაბამისი წინა კურსის ექვივალენტსა და ახალი კურსის ექვივალენტს შორის სხვაობა. აღნიშნული სხვაობის შესაბამისი თანხით განხორციელდება საკურსო სხვაობის გატარებები, რომლებიც აისახება მხოლოდ ნაერთ უწყისში.


საკურსო სხვაობის ავტომატური შესრულება გულისხმობს შემდეგს: სისტემა განსაზღვრავს თქვენს მიერ დაყენებული ბრუნვის დიაპაზონის (საოპერაციო პერიოდის) სანყის თარიღს და ამ თარიღიდან დაწყებული ბოლო გატარების თარიღის ჩათვლით ამოიჩვენებს კურსის ცვალებადობის თარიღებს. სწორედ ამ თარიღებში განხორციელდება საკურსო სხვაობის გატარებები სავალუტო ანგარიშების ნაშთებიდან გამომდინარე.

საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულება შეიძლება 2 გზით:

1. გამოიძახეთ ვალუტების სია. შემდეგ აირჩიეთ ბარათი **“საკურსო სხვაობა”**.
2. ძირითადი მენიუდან **“ოპერაციები”** აირჩიეთ ქვემენიუ **“საკურსო სხვაობა”**:






ორივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:



ველში **“საკურსო სხვაობის ანგარიშები”** მითითებული უნდა იყოს ის ანგარიშები, რომელთა გამოყენებითაც უნდა შესრულდეს საკურსო სხვაობის გატარებები. როგორც ეკრანზე ხედავთ, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების ველებში მითითებულია 5330.

ეკრანის მარცხენა მხარეს ხედავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც მონიშნულია ყველა ანგარიში. თქვენ შეგიძლიათ გადანიშნოთ ის ანგარიშები, რომლებზეც არ გინდათ, რომ შესრულდეს საკურსო სხვაობის ოპერაცია (ანუ ეს ანგარიშები არ გადაფასდეს).

კონკრეტული ანგარიშის გადანიშვნას ან მონიშვნას შესძლებთ, თუ **“თავი”**-ს მარცხენა ლილავით დააჭერთ მის წინ მდებარე ნიშანზე -  (თუ გადანიშნავთ/მონიშნავთ ზედა დონის ანგარიშს მაგ., 1000, მაშინ გადანიშნავთ/მონიშნავთ მისი ყველა ქვეანგარიში). ერთდროულად ყველა ანგარიშის მონიშვნას/გადანიშვნას შესძლებთ შესაბამისად ლილავებით -  / .


თუ მონიშნავთ ველს **“ჯერ წავშალოთ ყველა შესრულებული საკურსო სხვაობა პერიოდში 2.01.2006-1.01.2007”** (ეს პერიოდი აიღება საოპერაციო პერიოდიდან) და ისე შესაბამისად საკურსო სხვაობის ოპერაციას, სისტემა ჯერ წაშლის მოცემულ პერიოდში უკვე შესრულებულ საკურსო სხვაობის ოპერაციებს და მხოლოდ ამის შემდეგ შესაბამისად

ახალს.

პროგრამაში შესაძლებელია საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდეს 2 გზით:

1. თუ გასურთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდეს იმ თარიღებში, რომლებშიც ვალუტის კურსი შეიცვალა, მაშინ მონიშნული უნდა იყოს ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში" (რასაც ეკრანზეც ხედავთ). შესაბამისად, ეკრანის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია საოპერაციო პერიოდის რომელ თარიღებში შეიცვალა ესა თუ ის ვალუტა, როგორი იყო ძველი და როგორი გახდა ახალი კურსი.

2. თუ გასურთ გადაფასება (საკურსო სხვაობის გატარებები) მოხდეს კონკრეტულად რომელიმე თარიღში, მაშინ გადანიშნეთ ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში". რის შემდეგაც ნახავთ, რომ ეკრანის მარჯვენა მხარეს გაჩნდება ველი "გადაფასების თარიღი", სადაც ღილაკით - [...] შეგიძლიათ მიუთითოთ საკურსო სხვაობის ოპერაციის შესრულების თარიღი.




მოდით, შევასრულოთ საკურსო სხვაობის გატარებები ორივე გზით და ვნახოთ რა შედეგს მოგვცემს თითოეული მათგანი.


1. მონიშნეთ ველი "გადაფასვასოთ კურსის ცვლილების თარიღებში".


შემდეგ დააჭირეთ ღილაკს -  შპვასრულეთ საკურსო სხვაობის ოპერაცია. რის

შემდეგადაც დაიწყება საკურსო სხვაობის ოპერაციის შერულების პროცესი:




რომლის დასრულების შემდეგ (ეს ეკრანი გაქრება) დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი.

ესლა ვნახოთ რა გატარებები შეასრულა აღნიშნულმა ოპერაციამ. გატარებების ნახვას შესძლებთ, როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში ასევე სამეურნეო ოპერაციებში. გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები ღილაკით - . ეკრანის ქვედა ნაწილში მოძებნეთ საკურსო სხვაობის ოპერაცია, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი "გატარებები":





როგორც ეკრანზე ხედავთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდა იმ თარიღებში, რომელშიც დაფიქსირებული იყო ვალუტის კურსები. ეს გატარებები რა თქმა უნდა შესრულდა ჩვენს მიერ გაცემებული პირველი სავალუტო გატარების შემდეგ, რომელიც შევასრულეთ 04.02.2006-ში.

2. მეორე ვარიანტის განხილვისთვის ჯერ წავშალოთ ჩვენს მიერ შესრულებული საკურსო სხვაობის ოპერაცია. ამისათვის, დაბრუნდით ბარათში "ოპერაციები", მონიშნეთ ნასაშლელი ოპერაცია და დააჭირეთ

ლილავს “ნაშლა” - .

ძირითადი მენიუდან “ოპერაციები” აირჩიეთ ქვემენიუ “საკურსო სხვაობა”. შემდეგ გადანიშნეთ ველი “გადავავასოთ კურსის ცვლილების თარიღებში”. რის შემდეგაც ნახავთ, რომ ეკრანის მარჯვენა მხარეს გაჩნდება ველი “გადავავასების თარიღი”, სადაც მიუთითეთ - 31.12.2006.

შემდეგ დააჭირეთ ლილავს -  შვეიცარულ ელემენტარულ სხვაობის თარიღები. საკურსო სხვაობის ოპერაციის დასრულების შემდეგ დახურეთ ვალუტების სიის ეკრანი და გამოიძახეთ სამეურნეო ოპერაციები. მონიშნეთ საკურსო სხვაობის ოპერაცია და დააჭირეთ ბარათს “გატარებები”:



თარიღი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
31.12.2005	5330	6.00	801.0000	0	საშუალო	566.12.20 USD	5.04.200
31.12.2005	3110 3	0.01	801.0000	0	საშუალო	566.3.1.10 3 USD	5.04.200
31.12.2005	3110 5	6.00	801.0000	0	საშუალო	566.3.1.10 5 USD	5.04.200

როგორც ეკრანზე ხედავთ საკურსო სხვაობის გატარებები შესრულდა მხოლოდ ერთ თარიღში - 31.12.2006-ში. პროგრამამ ნახა ამ თარიღში ვალუტის რა კურსი იყო დაფიქსირებული და გადაავასა ამ კურსის მიხედვით ანგარიშების ნაშთები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ სავალუტო ოპერაციებისას.